COVID-19 პანდემიის დროს სტუდენტების იურიდიული პრაქტიკის შესაძლებლობების შეფასება

ძირითადი გამოწვევები და რეკომენდაციები

COVID-19 პანდემიის დროს სტუდენტების იურიდიული პრაქტიკის შესაძლებლობების შეფასება

ძირითადი გამოწვევები და რეკომენდაციები

კვლევის ავტორი: **ნათია ხანთაძე**
საქართველოს სამართლის ინსტიტუტი,
აღმასრულებელი დირექტორი

კვლევის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა გაწეული. კვლევის შინაარსზე პასუხისმგებელია მისი ავტორი და ის შეიძლება არ ასახავდეს აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის, USAID ან აშშ-ის მთავრობის შეხედულებებს.

This assassment is made possible by the support of the American People through the United States Agency for International Development (USAID). The contents of this assessment are the sole responsibility of the author and do not necessarily reflect the views of East West Management Institute, USAID or the United States Government.

საქართველოს სამართლის ინსტიტუტი
GEORGIAN LAW INSTITUTE

USAID
ამერიკელი ხალხისგან

EAST • WEST MANAGEMENT INSTITUTE
კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში (PROLoG)

სარჩევი

I. კვლევის მიზანი 5

II. კვლევის მეთოდოლოგია 8

II.I. სამიზნე ჯგუფები 8

II.II. უნივერსიტეტების წარმომადგენლები 8

II.III. დამსაქმებლების წარმომადგენლები 9

II.IV. ფოკუს ჯგუფების შეხვედრები და ჩაღრმავებული ინტერვიუები 9

II.V. სამაგიდო კვლევა 11

III. ძირითადი მიგნებები 12

III.I. ზოგადი გამოწვევები 12

III.II. განსხვავებული გამოწვევები სამართლის სამაგისტრო და საბაკალავრო პროგრამების იურიდიული პრაქტიკის კურსებში 12

III.III. გამოწვევები კერძო სექტორში 13

III.IV. იურიდიული პრაქტიკის გამოწვევები საჯარო სექტორში 14

III.V. იურიდიული პრაქტიკა უფასო იურიდიული დახმარების კლინიკებში 14

III.VI. უფასო იურიდიული დახმარების კლინიკაში არსებული გამოწვევები 15

III.VII. რეგიონული უნივერსიტეტების სტუდენტების ტექნიკური გამოწვევები 15

III.VIII. იურიდიული პრაქტიკის საგანამანათლებლო სამართლებრივი რეგულირება 15

III.IX. საქართველოს შრომის კოდექსში 2020 წლის სექტემბერში განხორციელებული სტაჟირების რეგულირებით გამოწვეული სირთულეები 16

IV. რეკომენდაციები 17

IV.I. ზოგადი რეკომენდაციები 17

IV.II. რეკომენდა ციები უნივერსიტეტებისთვის 18

V. დანართები 20

დანართი N 1 20

დანართი N 2 23

დანართი N 3 26

დანართი N 4 26

დანართი N 5 27

დანართი N 6 28

დანართი N 7 28

I. კვლევის მიზანი

კვლევის ზოგადი მიზანია COVID-19 პანდემიის დროს სტუდენტების იურიდიული პრაქტიკის შესაძლებლობების შესწავლა, შეფასება და COVID-19 პანდემიის დროს ამ შესაძლებლობების გაუმჯობესებისთვის რეკომენდაციების შემუშავება.

კვლევაში ყურადღება გამახვილებულია რეგიონული უნივერსიტეტების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სტუდენტების იურიდიული პრაქტიკის შესაძლებლობების შეფასებაზე. ეს განპირობებულია ერთი მხრივ რეგიონებში პანდემიის დაწყებამდე არსებული ეკონომიკური განვითარების დაბალი დონით, რაც ნეგატიურად აისახება რეგიონული უნივერსიტეტების სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომ იურიდიული პრაქტიკის შესაძლებლობებზე. მეორე მხრივ რეგიონებში, განსაკუთრებით აჭარის რეგიონში, COVID-19 პანდემიის გავრცელების მაღალი მაჩვენებლით, რაც პანდემიის დროს დამატებით დაბრკოლებას ქმნის სტუდენტებისთვის მოიძიონ ორგანიზაციები, სადაც შეძლებენ პროფესიული პრაქტიკული უნარების გამომუშავებას.

იურიდიული პრაქტიკის კურსებს სხვა საუნივერსიტეტო კურსებისგან თვისობრივად განასხვავებს შესაძლებლობა სტუდენტმა გამოიყენოს ცოდნა რეალურ სამუშაო გარემოში, გაიცნოს ორგანიზაციის სამუშაო კულტურა და შეიძინოს პროფესიული კონტაქტები. ეს გამოცდილება არსებითია განსაკუთრებით საბაკალავრო პროგრამის სტუდენტების პროფესიული ინტერესების განსაზღვრისთვის, რადგან საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებისთვის იურიდიული პრაქტიკა როგორც წესი რეალურ სამუშაო პროცესში მონაწილეობის პირველი გამოცდილებაა.

იურიდიული პრაქტიკის კურსების ბუნების გათვალისწინებით COVID-19 პანდემიის დროს სხვა იურიდიული განათლების კურსებისგან განსხვავებით სტუდენტებისთვის იურიდიული პრაქტიკის დაგეგმილი ფორმით და შინაარსით განხორციელება არსებითად გართულდა.

ამასთან თუ სტუდენტები ვერ იძენენ პროფესიულ გამოცდილებას კერძო და საჯარო ორგანიზაციებში. ეს ნეგატიურად აისახება როგორც მათი პროფესიული ინტერესების ფორმირებაზე ისე მომავალში მათი დასაქმების შესაძლებლობებზე.

COVID-19 პანდემიამ მთელს მსოფლიოში და მათ შორის საქართველოში რადიკალურად შეცვალა ორგანიზაციების საქმიანობის წესი და ფორმები. საქართველოში 2020 წლის 21 მარტს საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტის საფუძველზე გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა და განისაზღვრა ადამიანის უფლებების რიგი შეზღუდვები, მათ შორის საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტის საფუძველზე საქართველოს მთავრობას მიენიჭა „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონით დადგენილისგან განსხვავებული განათლების წესების და პირობების დადგენის უფლებამოსილება და კერძო და საჯარო დაწესებულებების საქმიანობისთვის დაწესდა რიგი აკრძალვები და საქმიანობის არსებითი შეზღუდვები.

მათ შორის, საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის N 181 დადგენილების საფუძველზე განისაზღვრა საზოგადოებრივი ტრანსპორტით გადაადგილების შეზღუდვები, საგანგებო მდგომარეობის ვადით უმაღლეს საგანამანათლებლო დაწესებულებებს დაევალათ დისტანციური ფორმით სასწავლო პროცესის წარმართვა.

დამატებით საგანგებო მდგომარეობის ვადით შეჩერდა „საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის №410 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო დაწესებულებაში სტაჟირების გა-

ვლის წესისა და პირობების შესახებ“ სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული ვადები; ამ შეზღუდვის დაწესებით რეალურად შეჩერდა სახელმწიფო სტაჟირების პროგრამა.

დაწესებული შეზღუდვების გამო კერძო და საჯარო ორგანიზაციების ნაწილმა შეწყვიტა საქმიანობა, ნაწილმა დროებით შეაჩერა საქმინაობა და ნაწილმა საქმიანობა დისტანციურ რეჟიმში განაგრძო.

COVID-19 პანდემიის დროს საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების თანახმად 2020 წლის მეორე კვარტალში საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი შემციდრა 13.2%-ით[1].

დაწესებული შეზღუდვების და ეკონომიკის ასეთი მასშტაბით შემცირების შედეგად ორგანიზაციების მზაობა მიეღოთ ახალი თანამშრომლები და შეექმნათ ახალი სამუშაო ადგილები არსებითად გაუარესდა. შედეგად, ასევე შემცირდა სტაჟირების პროგრამების შესაძლებლობები.

COVID-19 პანდემიის დროს განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა კერძო სექტორი. სადაც დამსაქმებლების მიზანი გახდა საუკეთესო შემთხვევაში არსებული თანამშრომლების შენარჩუნება, მათ შორის ისეთ ორგანიზაციებშიც, რომლის საქმიანობაზეც COVID-19 პანდემიის დროს დადგენილი შეზღუდვები არ გავრცელდებულა. მაგალითად კომერციულ ბანკებს COVID-19 პანდემიის დროს არ შეეხო საქმიანობის აკრძალვა ან საქმიანობის არსებითი შეზღუდვა, თუმცა ამის მიუხედავად ყველაზე მსხვილმა კომერციულმა ბანკებმაც პანდემიის დროს დროებით შეაჩერეს სტაჟირების პროგრამები, მათ შორის იურიდიული სტაჟირების პროგრამაც.

დამსაქმებლების პერსპექტივიდან ზოგადად სტაჟირების პროგრამების შეთავაზების ინტერესი უპირატესად ახალი კადრების მოძიების და აღზრდის ინტერესთან არის დაკავშირებული. ორგანიზაციებს როგორც წესი ახალი სამუშაო კადრები ჭირდებათ მათი საქმიანობის ზრდის ან გაფართოებისას. თუ ორგანიზაციის საქმიანობა ეკონომიკური სიტუაციის გამო არსებითად შემცირებულია ორგანიზაციის პრიორიტეტი საუკეთესო შემთხვევაში არსებული კადრების შენარჩუნებაა, უარეს შემთხვევაში კი კადრების შემცირება.

ამიტომ პანდემიით გამოწვეულმა ეკონომიკურმა შემცირებამ, საჯარო სექტორშიც, მაგრამ კიდევ უფრო მწვავედ კერძო სექტორში, შეამცირა სტაჟირების პროგამების შეთავაზების და განხორციელების ინტერესი.

შესაბამისად, ერთი მხრივ საჯარო სექტორში „საჯარო დაწესებულებაში სტაჟირების პროგრამის“ შეჩერების შედეგად, მეორე მხრივ კერძო სექტორში ეკონომიკური უკანსვლის შედეგად არსებითად შემცირდა იურიდიული პრაქტიკის შეთავაზებები და შედეგად შემცირდა სტუდენტების შესაძლებლობები გაიარონ იურიდიული პრაქტიკის კურსების სათანადო ხარისხით.

შედეგად, COVID-19 პანდემიის დროს 2020 წლის 21 მარტიდან სტუდენტები და უნივერსიტეტები აღმოჩნდნენ რეალობაში, სადაც შეუძლებელია იურიდიული პრაქტიკის კურსების წინა წლების მსგავსად და შესაბამისი ხარისხით განხორციელება.

COVID-19 პანდემიის დროს სტუდენტებისთვის შემცირდა როგორც სტაჟირების ისე იურიდიული პრაქტიკის შესაძლებელობები[2].

1 https://www.iset-pi.ge/index.php/en/gdp-forcast
2 იურიდიული პრაქტიკის და იურიდიული სტაჟირების პროგრამების განსხვავების შესახებ იხ. ნ. ხანთაძე, „იურიდიული პრაქტიკის პროგრამები საქართველოში შეფასება და რეკომენდაციები“ გვ.4.

პრობლემას ამწვავებს ისიც, რომ სტუდენტებს მომავალი პროფესიული საქმიანობისთვის იურიდიული პრაქტიკის/სტაჟირების გამოცდილების ჩანაცვლება არ შეუძლიათ უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული სხვა რეგულარული საგანმანათლებლო კურსებით.

ამ გარემოების გამო მნიშვნელოვანია COVID-19 პანდემიის დროს ორგანიზაციებმა და უნივერსიტეტებმა შეძლონ ახალ გამოწვევებთან ადაპტაცია ისეთი ფორმით, რომელიც სტუდენტებს საშუალებას მისცემს შეიძინონ საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული უნარები და დაეხმარება მათ საკუთარი პროფესიული ინტერესების ფორმირებაში, პრაქტიკული გამოცდილების შეძენაში და ასევე ხელს შეუწყობს მათი დასაქმების შესაძლებლობებს.

ამიტომ კვლევის ძირითადი მიზანი იურიდიული პრაქტიკის კურსების არსებული გამოწვევების შესწავლა და მომავლისთვის ამ შესაძლებლობების გაუმჯობესებისთვის რეკომენდაციების შემუშავებაა.

II. კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის პირველ ეტაპზე შემუშავდა კითხვარები (დეტალურად იხილეთ დანართი N 1 და დანართი N 2) და განისაზღვრა კვლევის ძირითადი სამიზნე ჯგუფები.

კვლევის მეორე ეტაპი მოიცავდა კვლევაში მონაწილე უნივერსიტეტების და დამსაქმებელი ორგანიზაციების წარმომადგენლების გამოკითხვას და იურიდიული პრაქტიკის მარეგულირებელი დოკუმენტების შეგროვებას და შესწავლას.

კვლევის მესამე ეტაპი დაეთმო ფოკუს ჯგუფებთან შეხვედრებს, ასევე რეგიონული უნივერსიტეტების წარმომადგენლებთან და განათლების განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლებთან ჩაღრმავებულ ინტერვიუებს.

კვლევის ბოლო, მეოთხე ეტაპი, გულისხმობდა COVID-19 პანდემიის დროს იურიდიული პრაქტიკის კურსების ძირითადი გამოწვევების შეფასებას და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებას.

II.I. სამიზნე ჯგუფები

კვლევისთვის განისაზღვრა შემდეგი ძირითადი სამიზნე ჯგუფები:

- დამსაქმებელი ორგანიზაციების წარმომადგენლები
- სამართლის სკოლების/ფაკულტეტების წარმომადგენლები
- რეგიონული უნივერსიტეტების სამართლის პროგრამების სტუდენტები

II.II. უნივერსიტეტების წარმომადგენლები

კვლევა პირველ რიგში მოიცავდა საქართველოს რეგიონული უნივერსიტეტების სტუდენტების იურიდიული პრაქტიკის შესაძლებლობების გამოკვლევას. ამიტომ კვლევის ფარგლებში გაიმართა ჩაღრმავებული ინტერვიუები შემდეგი უნივერსიტეტების წარმომადგენლებთან (დეტალურად იხ. დანართი N 3):

ჩაღრმავებული ინტერვიუები რეგონული უნივერსიტეტების წარმომადგენლებთან
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივესიტეტი
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

კვლევამ ასევე მოიცვა საჯარო და კერძო უნივერსიტეტები, მათ შორის მცირე, საშუალო და მასობრივი უნივერსიტეტები.

რეგიონული უნივერსიტეტების წარმომადგენლებთან ერთად კვლევაში მონაწილეობა ასევე მიიღეს შემდეგი უნივერსიტეტების წარმომადგენლებმა (დამატებით იხ. დანართი N 4):

კვლევაში მონაწილე უნივერსიტეტები
საქართველოს უნივერსიტეტი
კავკასიის უნივერსიტეტი
თბილისის ღია უნივერსიტეტი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი

II.III. დამსაქმებლების წარმომადგენლები

იურიდიული პრაქტიკის შესაძლებლობების შესწავლის მიზნით კვლევამ მოიცვა მცირე, საშუალო და დიდი ზომის ორგანიზაციები. კვლევაში მონაწილეობა მიიღეს შემდეგი ტიპის ორგანიზაციებმა:

- იურიდიული ფირმა
- კომერციული ბანკი
- აუდიტორული კომპანია
- არასამთავრობო ორგანიზაცია
- სასამართლო
- საჯარო დაწესებულება
- საქართველოს პროკურატურა
- ტელეკომპანია
- პროფესიული ასოციაცია

II.IV. ფოკუს ჯგუფების შეხვედრები და ჩაღრმავებული ინტერვიუები

საჯარო და კერძო სექტორში იურიდიული პრაქტიკის შესაძლებლობების შესწავლისთვის შეიქმნა შემდეგი ფოკუს ჯგუფები:

- უნივერსიტეტების წარმომადგენლების ფოკუს ჯგუფი
- კერძო ორგანიზაციების წარმომადგენლების ფოკუს ჯგუფი
- საჯარო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების ფოკუს ჯგუფი
- რეგიონული უნივერსიტეტების სტუდენტების ფოკუს ჯგუფი

უნივერსიტეტის წარმომადგენლების ფოკუს ჯგუფში მონაწილეობდნენ შემდეგი უნივერსიტეტები (დეტალურად იხ. დანართი N 4)

კვლევაში მონაწილე უნივერსიტეტები
საქართველოს უნივერსიტეტი
კავკასიის უნივერსიტეტი
თბილისის ღია უნივერსიტეტი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი

კერძო ორგანიზაციების ფოკუს ჯგუფში მონაწილეობდნენ შემდეგი ორგანიზაციების წარმომადგენლები (დეტალურად იხ. დანართი N 5)

კვლევაში მონაწილე კერძო ორგანიზაციები
TBC ბანკი
EY საქართველო
იურიდიული ფირმა LPA
ტელეკომპანია რუსთავი 2
იურიდიული ფირმა სუქნიძე და პარტნიორები
იურიდიული ფირმა BLC

საჯარო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების ფოკუს ჯგუფში მონაწილეობდნენ შემდეგი ორგანიზაციების წარმომადგენლები (დეტალურად იხ. დანართი N 5):

კვლევაში მონაწილე საჯარო და არასამთავრობო ორგანიზაციები
საქართველოს პროკურატურა
საჯარო სამსახურის ბიურო
საქართველოს უზენაესი სასამართლო
საქართველოს საკოსტიტუციო სასამართლო
საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“
არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“

რეგიონული უნივერსიტეტების სტუდენტების ფოკუს ჯგუფში მონაწილეობდნენ შემდეგი რეგიონული უნივერსიტეტების სტუდენტები (დეტალურად იხ. დანართი N 6):

კვლევაში მონაწილე რეგიონული უნივერსიტეტების სტუდენტები
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სამცხე ჯავახეთის სახელმწიფო უნივერისტეტი

II.V. სამაგიდო კვლევა

სამაგიდო კვლევის ფარგლებში შესწავლილი იქნა უნივერსიტეტების და დამსაქმებლებისგან მიღებული ინფორმაცია COVID-19 პანდემიის დროს მოქმედი იურიდიული პრაქტიკის რეგულირების და ამ დროს მოქმედი კურსების შესახებ, ასევე სტატისტიკური ინფორმაცია იურიდიული პრაქტიკის კურსების და პროგრამების მონაწილეების შესახებ (დეტალურად იხ. დანართი N 7).

III. ძირითადი მიგნებები

IV. III.I. ზოგადი გამოწვევები

- COVID-19 პანდემიის დროს ყველა უნივერსიტეტის სტუდენტს საუკეთესო შემთხვევაში მოუწია იურიდიული პრაქტიკის კურსის შერეული ფორმით ათვისება, კარგ შემთხვევაში სრულად დისტანციური ფორმით საქმიანობა, უარეს შემთხვევაში კი სტუდენტებმა ვერ შეძლეს იურიდიული პრაქტიკის კურსების გავლა.
- იურიდიული პრაქტიკის კუთხით არსებულ გამოწვევებთან გამკლავება შედარებით უკეთესად შეძლეს მცირე ზომის სამართლის სკოლების/ფაკულტეტების სტუდენტებმა. სამართლის სკოლებში/ფაკულტეტებში სადაც ბევრი სტუდენტი სწავლობს იურიდიული პრაქტიკის კომპონენტის ათვისება არსებითად გართულდა უკიდურესად შემცირებული იურიდიული პრაქტიკის შესაძლებლობების გამო.
- უნივერსიტეტებს გაუჭირდათ პირველ ეტაპზე სწრაფი ადაპტირება ახალ რეალობასთან. ხშირ შემთხვევაში ადმინისტრაციის მოლოდინი იყო, რომ შემოდგომაზე სტუდენტები შეძლებდნენ ჩვეულებრივ რეჟიმში იურიდიული პრაქტიკის ორგანიზებას. ამის გამო და საგანგებო მდგომარეობის დროს დაწესებული მკაცრი შეზღუდვების ფონზე, ზოგმა უნივერსიტეტმა იურიდიული პრაქტიკის კურსები გადაიტანა შემოდგომის სემესტრში.
- შესაბამისად შემოდგომის სემესტრში დიდი რაოდენობით სტუდენტს მოუწია იურიდიული პრაქტიკის კურსების გავლა, თუმცა ამ დროს ეკონომიკური კრიზისი კიდევ უფრო გამწვავდა და შეჩერებული იურიდიული პრაქტიკის კურსები საჯარო სექტორში არ აღდგა და სტუდენტების ნაწილმა საერთოდ ვერ შეძლო იურიდიული პრაქტიკის მოძებნა.

III.II. განსხვავებული გამოწვევები სამართლის სამაგისტრო და საბაკალავრო პროგრამების იურიდიული პრაქტიკის კურსებში

- COVID-19 პანდემიის დროს სამართლის საბაკალავრო და სამაგისტრო სტუდენტებისთვის იურიდიული პრაქტიკის კურსების ათვისება განსხვავებულ სირთულეებთან იყო დაკავშირებული.
- COVID-19 პანდემიის დაწყებამდე სამაგისტრო პროგრამის სტუდენტების უფრო დიდი ნაწილი იყო დასაქმებული და მათ შეძლეს საქმიანობის დისტანციური ფორმით გაგრძელება, შესაბამისად უნივერსიტეტებს შეეძლოთ მათი საქმიანობის ჩათვლა. სამაგისტრო პროგრამების სტუდენტები, იურიდიულ პრაქტიკას როგორც წესი სწავლის მეორე აკადემიურ წელს იწყებენ, ამ დროს როგორც წესი სამაგისტრო პროგრამების სტუდენტების დიდი ნაწილი უკვე დასაქმებულია და იურიდიული პრაქტიკის კურსში შეუძლიათ საკუთარი საქმიანობის საფუძველზე კრედიტების მოპოვება - იურიდიული პრაქტიკის ჩათვლა.
- ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით 2021 წლიდან 2020 წელთან შედარებით უფრო ნაკლები სტუდენტი იქნება დასაქმებული და სტუდენტებს გაუჭირდებათ სამსახურის მოძიება. მათ შორის მაგისტრატურის სტუდენტების რაოდენობა, რომლებიც

მუშაობენ 2020 წელთან შედარებით ნაკლები იქნება. ამიტომ უნივერსიტეტებს გაუჭირდებათ უკვე დასაქმებული სტუდენტების რეალური სამუშაო საქმიანობის იურიდიული პრაქტიკის კურსებში ჩათვლა.

- COVID-19 პანდემიის დროს სამართლის საბაკალავრო პროგრამების სტუდენტებს გაუჭირდათ ორგანიზაციებში იურიდიული პრაქტიკისთვის ახალი ადგილების მოძიება, რადგან კერძო და საჯარო ორგანიზაციებში შეჩერდა სტაჟირების პროგრამები, ამავე დროს ბევრ ორგანიზაციაში ასევე შეჩერდა სასწავლო პრაქტიკის პროგრამებიც.
- ამასთან საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებს, როგორც წესი არ აქვთ უშუალო კონტაქტები პოტენციურ დამსაქმებლებთან და სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებთან შედარებით უფრო მეტად უჭირთ იურიდიული პრაქტიკის შესაძლებლობების მოძიება.

III.III. გამოწვევები კერძო სექტორში

- COVID-19 პანდემიის დროს ზოგადად შემცირდა სტაჟირების შესაძლებელობები როგორც კერძო ისე საჯარო სექტორში.
- კერძო სექტორში კომერციული ორგანიზაციები რთულ ეკონომიკურ მდგომარეობაში არიან. მძიმე ეკნომიკური სიტუაციის შედეგად ორგანიზაციებში არსებითად შემცირდა საქმის მოცულობა და შედეგად შემცირდა მოთხოვნა პრაქტიკანტებზე.
- კერძო სექტორში დამსაქმებლების პერსპექტივიდან სტაჟირების პროგრამების შეთავაზების ინტერესი უპირატესად ახალი კადრების მოძიების და აღზრდის ინტერესთან არის დაკავშირებული. ორგანიზაციებს როგორც წესი ახალი სამუშაო კადრები ჭირდებათ მათი საქმიანობის ზრდის ან გაფართოებისას. COVID-19 პანდემიის გამო ორგანიზაციების საქმიანობა ეკონომიკური სიტუაციის გამო არსებითად შემცირებულია და ორგანიზაციის პრიორიტეტი საუკეთესო შემთხვევაში არსებული კადრების შენარჩუნებაა, უარეს შემთხვევაში კადრების შემცირება.
- ამიტომ პანდემიით გამოწვეულმა ეკონომიკურმა შემცირებამ, საჯარო სექტორშიც, მაგრამ კიდევ უფრო მწვავედ კერძო სექტორში შეამცირა სტაჟირების პროგამების შეთავაზების და განხორციელების ინტერესი.
- დისტანციურ რეჟიმში სტაჟირების/იურიდიული პრაქტიკისთვის კერძო ორგანიზაციებს მოუწიათ ახალ რეალობასთან ადაპტაცია და მიიღეს შერეულ რეჟიმში საქმიანობის წესები, რომლებიც აწესრიგებს როგორც დოკუმენტებთან ოფისში ცოცხლად მუშაობის წესებს ისე დისტანციური მუშაობის დროს პირადი ან/და საიდუმლო ინფორმაციის დაცვის საკითხებს.

III.IV. იურიდიული პრაქტიკის გამოწვევები საჯარო სექტორში

- COVID-19 პანდემიის დროს განსაკუთრებით დიდი გამოწვევა იყო იურიდიული პრაქტიკა საქართველოს პროკურატურაში და ზოგადად საჯარო უწყებებში.
- საგანგებო მდგომაროების გამოცხადების შედეგად დაწესებული შეზღუდვების საფუძველზე საქართველოს მთავრობის დადგენილებით შეჩერდა სახელმწიფო სტაჟირების პროგრამა.
- საგანგებო მდგომარეობის დასრულების შემდეგ ეს პროგრამა არ აღდგა სრულად. შედეგად, სტუდენტებს, რომლებსაც სტაჟირების გავლა საქართველოს პროკურატურაში უნდოდათ ასეთი შესაძლებლობა არ ჰქონდათ.
- საქართველოს პროკურატურაში სტუდენტებს არ შეეძლოთ არც იურიდიული პრაქტიკის გავლა.
- საჯარო სექტორში, განსაკუთრებით ძალოვან სტრუქტურებში, სტუდენტებს არ აქვთ იურიდიული პრაქტიკის დისტანციური ფორმით გავლის შესაძლებლობა, მათ შორის მნიშვნელოვანი გამოწვევაა დისტანციური ფორმით სტუდენტებისთვის შიდა პროგრამებზე წვდომის უზრუნველყოფა.
- COVID-19 პანდემიის დროს უნივერსიტეტების ადმინისტრაციის კონტაქტები საჯარო ორგანიზაციებში მნიშვნელოვნად განსაზღვრავს სტუდენტების იურიდიული პრაქტიკის შესაძლებლობებს. არაერთი უნივერისიტეტის კურსდამთავრებული და ლექტორი მუშაობს საჯარო სექტორში, სასამართლოებში განსაკუთრებით მოსამართლეების ძალისხმევით სამცხე-ჯავახეთის რაიონულ სასამართლოში დისტანციურად შეძლეს სტუდენტებმა იურიდიული პრაქტიკის კურსის გავლა.

III.V. იურიდიული პრაქტიკა უფასო იურიდიული დახმარების კლინიკებში

- COVID-19 პანდემიის დროს სამუშაო ადგილების შემცირების და ეკონომიკური მდგომარეობის არსებითად გაუარესების გამო ორგანიზაციებმა დაიწყეს კადრების ოპტიმიზაცია, ბევრ თანამშრომელს დროებით შეუჩერეს შრომითი ურთიერთობა და ბევრ თანამშრომელთან შეწყდა შრომითი ურთიერთობები. ამ ფონზე მოწყვლადი ჯგუფების მხრიდან გაიზარდა მოთხოვნა იურიდიულ კონსულტაციებზე. ამ ჯგუფების წარმომადგენლებს არ აქვთ იურისტის დაქირავების შესაძლებლობა და მათთვის მართლმსაჯულება ხელმისაწვდომია მხოლოდ უფასო იურიდიული დახმარების საშუალებით.
- შედეგად, უნივერსიტეტებში სადაც არსებობს უფასო იურიდიული დახმარების კლინიკები და ცენტრები გაიზარდა მოთხოვნა უფასო იურიდიულ კონსულტაციებზე და შესაბამისად გაიზარდა საქმე.
- COVID-19 პანდემიის დროს უფასო იურიდიულ დახმარებაზე გაზრდილი მოთხოვნის შედეგად უნივერსიტეტებს შეუძლიათ სტუდენტებს იურიდიულ კლინიკაში შესთავაზონ იურიდიული პრაქტიკის კურსების გავლა, სადაც სტუდენტები მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენლებს გაუწევენ უფასო იურიდიულ კონსულტაციებს.

III.VI. უფასო იურიდიული დახმარების კლინიკაში არსებული გამოწვევები

- COVID-19 პანდემიის დროს უფასო იურიდიულ დახმარებაზე გაზრდილი მოთხოვნის ფონზე უნივერსიტეტებში გართულდა იურიდიული კლინიკების საქმიანობა. კერძოდ, COVID-19 პანდემიის დროს დაწესებული შეზღუდვების გამკაცრების შედეგად უნივერსიტეტებს აეკრძალათ პრაქტიკული კომპონენტების ჩვეულებრივ რეჟიმში განხორციელება და კლინიკები იძულებულნი გახდნენ დაეწყოთ დისტანციური საქმიანობა.
- იურიდიული კლინიკების სპეციფიკა გულისხმობს მოწყვლად ჯგუფებთან მუშაობას. ამ ჯგუფის წევრებს ხელი ნაკლებად მიუწვდებათ თანამედროვე IT-ტექნოლოგიებზე და ასევე ხშირ შემთხვევაში არ აქვთ ამ პროგრამების გამოყენების არც ცოდნა და არც ტექნიკური წინაპირობები.
- შესაბამისად COVID-19 პანდემიის დროს უნივერსიტეტების იურიდიულ კლინიკებს დასჭირდათ ადაპტაცია პანდემიასთან და კლიენტებთან ფიზიკური სახით ან ზუმის ან სხვა პროგრამის საშუალებით კონტაქტის ნაცვლად იურიდიულმა კლინიკებმა აქტიურად დაიწყეს სატელეფონო კონსულტაციების გაწევა.

III.VII. რეგიონული უნივერსიტეტების სტუდენტების ტექნიკური გამოწვევები

- COVID-19 პანდემიის დროს იურიდიული პრაქტიკის დისტანციური ფორმით განხორციელება გამოწვევაა რეგიონული უნივერსიტეტების სტუდენტებისთვის, რომლებიც ქალაქებისგან დიდი მანძილით დაცილებულ სოფლებში მძიმე სოციო-ეკონომიკურ პირობებში ცხოვრობენ.
- პანდემიის დროს მათ ხელი არ მიუწვდებათ უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურაზე, სახლში კი არ აქვთ სათანადო ტექნიკური წინაპირობები იურიდიული პრაქტიკის დისტანციური ფორმით ასათვისებლად.

III.VIII. იურიდიული პრაქტიკის საგანამანათლებლო სამართლებრივი რეგულირება

- COVID-19 პანდემიის დროსაც იურიდიული პრაქტიკის კურსები წარიმართა პანდემიამდე არსებული სამართლებრივი რეგულირების რეჟიმში. ეს სამართლებრივი რეგულირება გულისხმობს ნებისმიერი საგანმანათლებლო კურსის, მათ შორის იურიდიული პრაქტიკის კურსის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების შეფასებას იმ სემესტრში, რომელშიც კურსი განხორციელდა. შესაბამისად თუ სტუდენტმა ვერ შეძლო შესაბამის სემესტრში კურსის ათვისება, ის ვერ იღებს კურსში შეფასებას.
- COVID-19 პანდემიის შედეგად 2020 წლის მარტში დაწესებული შეზღუდვების გამო საჯარო და კერძო ორგანიზაციების უმრავლესობამ შეაჩერა იურიდიული პრაქტიკის პროგრამები. მათ შორის სტუდენტებისთვისაც, რომლებსაც უკვე დაწყებული ჰქონდათ იურიდიული პრაქტიკა. მთავრობის მიერ დაწესებული შეზღუდვების მოხსნის შემდეგ, ზაფხულში გახდა შესაძლებელი იურიდიული პრაქტიკის კურსების რეალურად დასრულება. შესაბამისად არსებული რეგულირების გათვალისწინებით გაზაფხულის სემესტრში სტუდენტებმა ვერ შეძლეს კრედიტების ათვისება.

III.IX. საქართველოს შრომის კოდექსში 2020 წლის სექტემბერში განხორციელებული სტაჟირების რეგულირებით გამოწვეული სირთულეები

- ზოგ შემთხვევაში COVID-19 პანდემიის დროს კერძო ორგანიზაციებში სტუდენტების სტაჟირება ასევე გაართულა საქართველოს შრომის კოდექსში 2020 წლის სექტემბერში განხორციელებულმა ცვლილებებმა. კერძოდ, კოდექსის მე-18 მუხლში მოწესრიგდა ორგანიზაციაში სტაჟირების საკითხი. ამ მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით: „დამსაქმებელს არ აქვს უფლება, აიყვანოს სტაჟიორი იმ დასაქმებულის ნაცვლად, რომელთანაც შრომითი ურთიერთობა შეჩერდა ან/და შეწყდა.“
- ახალი რეგულაციის გამო, განსაკუთრებით პანდემიის დროს, როდესაც ორგანიზაციებში არსებითად შემცირდა თანამშრომლების რაოდენობა და მასობრივად შეჩერდა ან შეწყდა შრომითი ურთიერთობები, კერძო ორგანიზაციებში დამსაქმებლები თავს არიდებდნენ სტაჟიორის აყვანას.
- ამასთან შრომის კოდექსის ახალი რეგულაცია ერთმანეთისგან არ მიჯნავს სტაჟირებას და სასწავლო პრაქტიკას და შესაბამისად დამსაქმებლები სტუდენტის საქმიანობას ორგანიზაციაში შრომის კოდექსის მიზნებისთვის სტაჟირებად განიხილავენ.

V. რეკომენდაციები

IV.I. ზოგადი რეკომენდაციები

- COVID-19 პანდემიის პერიოდი არის კრიზისული დრო. შესაბამისად კრიზისის დროს უნივერსიტეტებმა და დამსაქმებლებმა უნდა შეიმუშავონ ამ დროებითი პერიოდისთვის საუკეთესო მიდგომა. პანდემია შეიძლება კიდევ ერთი წელი გაგრძელდეს, ამიტომ ყველა მნიშვნელოვან აქტორს (უნივერსიტეტებს, განათლების და მეცნიერების სამინისტროს, საქრთველოს მთავრობას, საჯარო სამსახურის ბიუროს) უნდა ჰქონდეს კრიზისის დროს სტუდენტების ორგანიზაციებში პრაქტიკული საქმიანობის განხორციელების ხედვა და ამ ხედვის განხორციელების შესაბამისი კონცეფცია.
- COVID-19 პანდემიის დროს იურიდიული პრაქტიკის კურსების შესაძლებლობების შექმნისთვის უნდა არსებობდეს მჭიდრო კომუნიკაცია უნივერსიტეტების ადმინისტრაციას, განათლების და მეცნიერების სამინისტროს, საჯარო სამსახურის ბიუროს, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრს, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას, სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის, სასამართლოების ადმინისტრაციების და ადვოკატების სხვა პროფესიული ორგანიზაციებს შორის. ამ ფორუმის მიზანი უნდა იყოს მოთხოვნის და მიწოდების დაახლოება იურიდიული პრაქტიკის კურსებში და სტუდენტებისთვის კრიზისის პერიოდში პრაქტიკის შეძლებისდაგვარად ოპტიმალური შესაძლებლობების შექმნა.
- COVID-19 პანდემიის დროს სასურველია შემუშავდეს დროებითი საგანმანათლებლო სამართლებრივი რეგულირება იურიდიული პრაქტიკის კურსებისთვის. ასეთი რეგულირების მიზანი უნდა იყოს კრიზისის გათვალისწინებით სტუდენტებმა შეძლონ სემესტრებს შორის დაგროვილი პრაქტიკული საქმიანობის ჩათვლა და იურიდიული პრაქტიკის კურსში ამ გამოცდილების საფუძველზე შეფასების მიღება.
- COVID-19 პანდემიის დროს სასურველია პრიორიტეტი მიენიჭოს შერეულ რეჟიმში იურიდიული პრაქტიკის კურსის ორგანიზებას. სრულად ონლაინ რეჟიმში შეუძლებელია სტუდენტმა გამოიმუშაოს პროფესიული უნარები და შეძლოს ორგანიზაციის საქმიანობის და ორგანიზაციაში დამკვიდრებული ინტერპერსონალური ურთიერთობების კულტურის გაცნობა.
- სამართლის კლინიკებში და უფასო იურიდიული დახმარების ცენტრებში საქმიანობა თვისობრივად არსებითად არ განსხვავდება და იმ დროს როდესაც უფასო იურიდიული დახმარების სამსახურში სტუდენტს შეუძლია შერეულ რეჟიმში საქმიანობა იგივე უფლება უნდა ჰქონდეს სამართლის კლინიკაშიც.
- სამინისტრომ უნდა უშუამდგომლოს უნივერსიტეტებს მთავრობასთან, რომ მთავრობამ დაუშვას იურიდიულ კლინიკებში სტუდენტების საქმიანობა. გამონაკლისი უნდა გავრცელდეს იმ იურიდიულ კლინიკებზე, რომლებიც მუშაობენ ცოცხალ კლიენტებთან და რომლებსაც საქმიანობა სრულად დისტანციურ რეჟიმში არ შეუძლიათ. ეს უნივერსიტეტებს მისცემს საშუალებას გააფართოვონ სტუდენტების იურიდიული პრაქტიკის შესაძლებელობები იურიდიული კლინიკების საქმიანობის ბაზაზე.

- COVID-19 პანდემიის დროს შეზღუდვების შემსუბუქების პერიოდში საქართველოს მთავრობამ შეიმუშავოს რეკომენდაცია იურიდიული პრაქტიკის წესი, როგორც ფიზიკური ფორმით, ასევე, აუცილებლობისას შერეულ რეჟიმში განხორციელების შესახებ და შესაბამისად უნივერსიტეტების კლინიკებში სტუდენტებს მიენიჭოთ უფლება ფიზიკური ან/და შერეული ფორმით კლინიკაში საქმიანობისთვის.
- COVID-19 პანდემიის დროს შეზღუდვების შემსუბუქების პერიოდში საქართველოს მთავრობამ შეიმუშავოს რეკომენდაცია სახელმწიფო სტაჟირების პროგრამის შერეულ რეჟიმში განხორციელების შესახებ.
- შრომის კოდექსში ერთმანეთისგან გაიმიჯნოს სასწავლო პრაქტიკა და სტაჟირება. სასწავლო პრაქტიკა არ უნდა ექცეოდეს შრომის კოდექსის რეგულირების სფეროში. ამ გზით დამსაქმებლები შეძლებენ კრიზისის დროს ერთი მხრივ სტუდენტებისთვის პრაქტიკული საქმიანობის გამოცდილების შეთავაზებას, მეორე მხრივ მწირი კადრების ფონზე თანამშრომლების საქმის ნაწილობრივ სტუდენტებისთვის განაწილებას.
- საჯარო სამსახურის ბიურომ სასურველია შეიმუშავოს კონცეფცია საჯარო სექტორში სახელმწიფო სტაჟირების და პრაქტიკის გამიჯვნის მიზნით, ასევე შეიმუშავოს გაიდლაინები საჯარო დაწესებულებებში დისტანციურ რეჟიმში პრაქტიკის და სტაჟირებისთვის;

IV.II. რეკომენდაციები უნივერსიტეტებისთვის

- მასობრივ უნივერსიტეტებში სასურველია უნივერსიტეტმა შეიმუშავოს მიდგომა, რომელიც უზრუნველყოფს მაგისტრატურის სტუდენტების მიერ შერეული ფორმით იურიდიული პრაქტიკის კურსის გავლას. მათ შორის განისაზღვროს იურიდიული პრაქტიკის კურსის ალტერნატივები უნივერსიტეტის შიგნით - იურიდიულ კლინიკაში უფასო იურიდიული კონსულტაციების გაწევა, კვლევით პროექტებში სტუდენტების ჩართვა და სხვა.
- უნივერსიტეტის ადმინისტრაციებმა აქტიურად უნდა გამოიყენონ დამსაქმებლებთან კონტაქტები, რომ შექმნან ერთობლივი კვლევითი პროექტები სადაც ადვოკატები უხელმძღვანელებენ სტუდენტების საქმიანობას და ამავე დროს მცირე ზომის ადვოკატის ბიურო შეძლებს ისარგებლოს უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურით და ადმინისტრაციული მხარდაჭერით და სტუდენტები შეძლებენ შერეული ფორმით პრაქტიკის გავლას.
- შერეული ფორმით იურიდიული პრაქტიკის განხორციელებისას სასურველია უნივერსიტეტებმა სტუდენტებისთვის შეიმუშაონ ჯანმრთელობის უსაფრთოხების შესახებ საინფორმაციო დოკუმენტი, რომელსაც გააცნობენ სტუდენტებს. ეს განსაკუთრებით სასურველია იმის გათვალისწინებით, რომ სტუდენტები სხვადასხვა ზომის და სხვადასხვა ორგანიზაციული კულტურის მქონე ორგანიზაციებში ეწევიან საქმიანობას და მათ შორის ზოგ ორგანიზაციას თავად არ აქვს ჯანმრთელობის დაცვის წესების შესახებ განსაზღვრული წესები.
- ფიზიკური ან/და შერეული ფორმით უნივერსიტეტის კლინიკაში საქმიანობისთვის უნივერსიტეტმა უნდა განსაზღვროს კონკრეტული რეკომენდაციები სტუდენტების ჯანმრთელობის უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის. მათ შორის უნდა განისაზღვროს დოკუმენტებთან მუშაობის და პირადი ინფორმაციის დაცვის წესები.

- უნივერსიტეტებში სადაც არ არსებობს იურიდიული კლინიკები, სასურველია უნივერსიტეტის პრაქტიკოს ლექტორებთან და პროფესორებთან თანამშრომლობით შემუშავდეს კვლევითი პროექტები, რომლის ფარგლებშიც სტუდენტები იმუშავებენ სხვადასხვა ორგანიზაციებისთვის პრაქტიკულ კვლევებზე. ეს შეიძლება გულისხმობდეს სასამართლო გადაწყვეტილებების მოკლე აღწერების მომზადებას, გადაწყვეტილებების თარგმანებს, მოქალაქეებისთვის პანდემიასთან დაკავშირებული სამართლებრივი ინფორმაციის მომზადებას.
- უნივერსიტეტებმა, სადაც სტუდენტებს ეკონომიკური სიტუაციის გამო არ აქვთ წვდომა ინტერნეტთან ან/და არ აქვთ სათანადო ტექნიკური აღჭურვილობა, მთავრობის მიერ დაწესებული შეზღუდვების შემსუბუქებისას უნდა გამოყონ სპეციალური სივრცე უნივერსიტეტის ბაზაზე სადაც სტუდენტები შეძლებენ შერეულ რეჟიმში პრაქტიკის გავლას და წვდომა ექნებათ ინტერნეტსა და აღჭურვილობაზე.
- ამასთან, თუ სტუდენტს იურიდიული პრაქტიკის გავლა არ შეუძლია მხოლოდ სათანადო ტექნიკური აღჭურვილობის არ ქონის გამო, უნივერსიტეტებმა სტუდენტი უნდა უზრუნველყონ სათანადო ტექნიკით. უნივერსიტეტებს შეუძლიათ სტუდენტს იურიდიული პრაქტიკის პერიოდისთვის დროებით სარგებლობაში გადასცენ შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობა.

VI. დანართები

დანართი N 1

კითხვარი დამსაქმებელი ორგანიზაციების წარმომადგენლებისთვის

1. რესპონდენტის შესახებ
2. სახელი, გვარი:
3. პოზიცია:
4. ორგანიზაციის დასახელება:
5. ტელეფონის ნომერი:
6. ელ.ფოსტა:

წარმოსადგენი დოკუმენტები (არსებობის შემთხვევაში):

- დისტანციური ან/და შერეული იურიდიული პრაქტიკის/სტაჟირების პროგრამის მარეგულირებელი დოკუმენტი;
- პანდემიის შედეგად მიღებული სპეციალური პროტოკოლი ან გაიდლაინი, რომელიც განსაზღვრავს სტაჟიორის და პრაქტიკანტის ჯანმრთელობის უსაფრთხოების დაცვის წესებს;
- ტექნიკური პროტოკოლი ან გაიდლაინები სტაჟიორების/პრაქტიკანტების მიერ ელექტრონული პლატფორმების გამოყენების შესახებ;
- დისტანციური ფორმით იურიდიული პრაქტიკის/სტაჟირების მონაწილე სტუდენტის საქმიანობის შეფასების კრიტერიუმები;
- სტატისტიკური მონაცემები 2020 წლის მარტი-2020 წლის დეკემბრის პერიოდში დისტანციური ფორმით ორგანიზაციაში რამდენმა სტუდენტმა გაიარა იურიდიული პრაქტიკა/სტაჟირება;
- სტატისტიკური მონაცემები 2019-2020 აკადემიურ წელს რამდენმა სტუდენტმა გაიარა ორგანიზაციაში პრაქტიკა/სტაჟირება;

კითხვარი მოიცავს შემდეგ ძირითად საკითხებს:

- COVID-19 პანდემიის დროს იურიდიული პრაქტიკის ძირითადი გამოწვევები
- ორგანიზაციის მიერ COVID-19 პანდემიის დროს ორგანიზაციის თანამშრომლების საქმიანობისთვის შემუშავებული რეკომენდაციები
- COVID – 19 პანდემიის დროს იურიდიული პრაქტიკის რეგულირება
- დისტანციური იურიდიული პრაქტიკა და კომუნიკაცია
- IT-ტექნოლოგიების გამოყენება გამოწვევების გადასალახად
- იურიდიული პრაქტიკის დროს IT რესურსებზე წვდომა
- პრაქტიკაზე სტუდენტის ჯანმრთელობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა
- იურიდიული კურსების ადაპტაცია COVID-19 პანდემიის დროს შექმნილ ახალ რეალობასთან.

COVID-19 პანდემიის დროს იურიდიული პრაქტიკის ძირითადი გამოწვევები

- დაასახელეთ სამი ყველაზე მწვავე გამოწვევა რაც თქვენ შეგექმნათ COVID-19 პანდემიის დროს იურიდიული პრაქტიკის განხორციელებისას?
- როგორ გადალახეთ ეს გამოწვევები ან მომავალში როგორ გეგმავთ ამ გამოწვევების გადალახვას?
- წინა წლებთან შედარებით რამდენმა სტუდენტმა შეძლო თქვენს ორგანიზაციაში პანდემიის პირობებში იურიდიული პრაქტიკის გავლა?
- სტუდენტებმა რა ფორმით შეძლეს იურიდიული პრაქტიკის გავლა ?
- იურიდიული პრაქტიკის ორგანიზების პროცესში რა იყო ყველაზე დიდი გამოწვევა?
- როგორ შეიძლება ამ გამოწვევების გადალახვა?

ორგანიზაციის მიერ COVID-19 პანდემიის დროს ორგანიზაციის თანამშრომლების საქმიანობისთვის შემუშავებული რეკომენდაციები

- თქვენმა ორგანიზაციამ შეიმუშავა COVID-19 პანდემიის დროს თანამშრომლებისთვის ორგანიზაციაში საქმიანობის რეკომენდაციები ?
- ასეთი რეკომენდაციების არსებობისასა ისინი ვრცელდება პრაქტიკანტზე/სტაჟიორზე?

COVID – 19 პანდემიის დროს იურიდიული პრაქტიკის რეგულირება

- არსებობს უნივერსიტეტებთან დისტანციურ რეჟიმში იურიდიული პრაქტიკის განხორციელების შესახებ რაიმე შეთანხმება?
- ასეთი შეთანხმების არსებობისას არსებობს იურიდიული პრაქტიკის მომაწესრიგებელი წესები?

დისტანციური იურიდიული პრაქტიკა და კომუნიკაცია

- COVID-19 პანდემიის დროს როგორ ხდება პრაქტიკის/სტაჟირებისას მენტორს/ხელმძღვანელსა და სტუდენტებს შორის კომუნიკაცია?
- მენტორის/ხელმძღვანელის და სტუდენტის კომუნიკაციისთვის არსებობს დისტანციური კომუნიკაციის წესები?
- დისტანციური ფორმით საქმიანობისას იურიდიული პრაქტიკაზე სტუდენტს რამდენად შეუძლია ორგანიზაციის საქმიანობის გაცნობა?
- რა დამატებითი რესურსებია საჭირო იურიდიული პრაქტიკის დროს დისტანციური მუშაობისთვის და როგორ ხდება მათი უზრუნველყოფა?
- დისტანციური მუშაობისას სტუდენტებს აქვთ პროფესიული სტანდარტების დაცვის სპეციალური წესები?

IT-ტექნოლოგიების გამოყენება გამოწვევების გადასალახად

- რომელ პლატფორმას იყენებს დისტანციური მუშაობისთვის თქვენი ორგანიზაცია?
- რამდენად თავისუფლად შეუძლია ტექნოლოგიების გამოყენება სტუდენტს დისტანციური ფორმით პრაქტიკაში მონაწილეობისთვის? ამაში ეხმარება თქვენი მენტორი?

- უნივერსიტეტი და დამსაქმებლის ორგანიზაცია რამდენად თანამშრომლობენ დისტანციურ რეჟიმში საჭირო ტექნოლოგიებზე სტუდენტის წვდომის უზრუნველყოფისთვის ?
- თქვენ ორგანიზაციაში არსებობს დისტანციური მუშაობისას ტექნოლოგიის გამოყენების უსაფრთხოების და ეთიკის ნორმების დაცვის წესები?

იურიდიული პრაქტიკის დროს IT რესურსებზე წვდომა

- იურიდიულ პრაქტიკაზე ყველა სტუდენტს ქონდა სახლიდან წვდომა ინტერნეტზე?
- სტუდენტს აქვს სახლიდან წვდომა დისტანციური საქმიანობისთვის საჭირო პროგრამებზე?
- რესურსებზე წვდომის უზრუნველყოფა ორგანიზაციის პასუხისმგებლობაა თუ უნივერსიტეტებიც უზრუნველყოფენ წვდომას?

პრაქტიკაზე სტუდენტის ჯანმრთელობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა

- თუ პრაქტიკა შერეულ რეჟიმში მიმდინარეობს, თქვენს ორგანიზაციას აქვს სპეციალური რეკომენდაციები ჯანმრთელობის უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის?
- ჯანმრთელობის უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის სტუდენტები იღებენ შესაბამის ინფორმაციას თქვენი ორგანიზაციისგან თუ უნივერსიტეტისგან?
- თუ სტუდენტს აღმოაჩნდა კონტაქტი COVID-19 ვირუსის მქონე პირთან მას შეუძლია ორგანიზაციაში პრაქტიკის გაგრძელება ?
- თუ სტუდენტს აღმოაჩნდა კონტაქტი COVID-19 ვირუსის მქონე პირთან მას აქვს შეტყობინების ვალდებულება და რა ხდება ასეთ დროს?

იურიდიული კურსების ადაპტაცია COVID-19 პანდემიის დროს შექმნილ ახალ რეალობასთან

- თქვენს ორგანიზაციაში COVID-19 პანდემიის გამო სტუდენტებმა შეძლეს იურიდიული პრაქტიკის კურსში მონაწილეობა/ კურსის დასრულება?
- როგორ ხდება პრაქტიკაზე ორგანიზაციის საქმიანობის გაცნობა, გუნდში მუშაობა, სტუდენტის ინტერპერსონალური უნარების განვითარება?
- გამარტივდა ან/და შეიცვალა პრაქტიკაზე სტუდენტის შეფასების კრიტერიუმები?

დანართი N 2

კითხვარი უნივერსიტეტების წარმომადგენლებისთვის

1. რესპონდენტის შესახებ
2. სახელი, გვარი:
3. პოზიცია:
4. ორგანიზაციის დასახელება:
5. ტელეფონის ნომერი:
6. ელ.ფოსტა:

წარმოსადგენი დოკუმენტები (არსებობის შემთხვევაში):

- დისტანციური ან/და შერეული იურიდიული პრაქტიკის/სტაჟირების პროგრამის მარეგულირებელი დოკუმენტი;
- პანდემიის შედეგად მიღებული სპეციალური პროტოკოლი ან გაიდლაინი, რომელიც განსაზღვრავს სტაჟიორის და პრაქტიკანტის ჯანმრთელობის უსაფრთხოების დაცვის წესებს;
- ტექნიკური პროტოკოლი ან გაიდლაინები სტაჟიორების/პრაქტიკანტების მიერ ელექტრონული პლატფორმების გამოყენების შესახებ;
- დისტანციური ფორმით იურიდიული პრაქტიკის/სტაჟირების მონაწილე სტუდენტის საქმიანობის შეფასების კრიტერიუმები;
- სტატისტიკური მონაცემები 2020 წლის მარტი-2020 წლის დეკემბრის პერიოდში დისტანციური ფორმით ორგანიზაციაში რამდენმა სტუდენტმა გაიარა იურიდიული პრაქტიკა/სტაჟირება;
- სტატისტიკური მონაცემები 2019-2020 აკადემიურ წელს რამდენმა სტუდენტმა გაიარა ორგანიზაციაში პრაქტიკა/სტაჟირება;
- იურიდიული პრაქტიკის კურსის მონაწილე სტუდენტების საკონტაქტო ინფორმაცია.

ძირითადი საკითხები:

- იურიდიული პრაქტიკის კურსებში COVID-19 პანდემიის დროს შექმნილი ძირითადი გამოწვევები
- COVID-19 პანდემიის დროს იურიდიული პრაქტიკის კურსების განხორციელებისას სახელმწიფოს რეკომენდაციები
- COVID-19 პანდემიის დროს იურიდიული პრაქტიკის კურსების განხორციელების რეგულირება უნივერსიტეტში
- დისტანციური იურიდიული პრაქტიკის კურსი და კომუნიკაცია
- უნივერსიტეტში IT ტექნოლოგიების გამოყენება იურიდიული პრაქტიკის კურსის გამოწვევების გადასალახად

- IT რესურსებზე იურიდიული პრაქტიკის კურსის სტუდენტების წვდომა
- იურიდიული პრაქტიკის კურსში სტუდენტის ჯანმრთელობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა
- COVID-19 პანდემიის დროს იურიდიული პრაქტიკის კურსების ადაპტაცია ახალ რეალობასთან

იურიდიული პრაქტიკის კურსებში COVID-19 პანდემიის დროს შექმნილი ძირითადი გამოწვევები

- დაასახელეთ იურიდიული პრაქტიკის კურსის განხორციელებისთვის COVID- 19 პანდემიის დროს შექმნილი სამი ყველაზე მწვავე გამოწვევა ?
- როგორ გადალახეთ ან შეიძლება მომავალში ამ გამოწვევების გადალახვა?
- წინა წლებთან შედარებით რამდენმა სტუდენტმა შეძლო პანდემიის დროს იურიდიული პრაქტიკის კურსის გავლა ან პრაქტიკის შესაძლებლობის მოძიება ?
- იურიდიული პრაქტიკის შესაძლებლობების მოძიებისას რა იყო ყველაზე დიდი გამოწვევა ?
- როგორ შეიძლება ამ გამოწვევების გადალახვა?
- თუ სტუდენტმა დროულად ვერ დაასრულა პრაქტიკა და ვერ აითვისა იურიდიული პრაქტიკის კურსით დადგენილი კრედიტები მას ემატება სასწავლო წელი?

COVID-19 პანდემიის დროს იურიდიული პრაქტიკის კურსების განხორციელებისას სახელმწიფოს რეკომენდაციები

- COVID-19 პანდემიის დროს შემუშავდა იურიდიული პრაქტიკისთვის რეკომენდაციები განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის ან განათლების სამინისტროს მხრიდან?

COVID-19 პანდემიის დროს იურიდიული პრაქტიკის კურსების განხორციელების რეგულირება უნივერსიტეტში

- თქვენს უნივერსიტეტს აქვს დისტანციურ რეჟიმში იურიდიული პრაქტიკის განხორციელების წესები/დებულება?
- თქვენს უნივერსიტეტს აქვს პრაქტიკული კურსების დისტანციური ფორმით განხორციელების რეგულირება?
- ასეთი რეგულირების არსებობისას რა საკითხებია მოწესრიგებული ?

დისტანციური იურიდიული პრაქტიკის კურსი და კომუნიკაცია

- როგორ ხდება იურიდიული პრაქტიკის კურსის ხელმძღვანელსა და სტუდენტებს შორის კომუნიკაცია?

- დისტანციური მუშაობისას სტუდენტი კურსის ხელმძღვანელისგან იღებს ინფორმაციას პროფესიული სტანდარტების დაცვის თაობაზე?
- უნივერსიტეტს აქვს შემუშავებული დისტანციური მუშაობისას პროფესიული სტანდარტების დაცვის სპეციალური წესები?

უნივერსიტეტში IT ტექნოლოგიების გამოყენება იურიდიული პრაქტიკის კურსის გამოწვევების გადასალახად

- იურიდიული პრაქტიკის კურსის დისტანციურად წარმართვისას სტუდენტი კურსის ხელმძღვანელისგან იღებს რჩევებს და რეკომენდაციებს სხვადასხვა ტექნოლოგიის გამოყენებაზე ?
- იურიდიული პრაქტიკის დროს დისტანციური მუშაობისთვის რა დამატებითი რესურსებია საჭირო?
- უნივერსიტეტი და დამსაქმებელი ორგანიზაცია თანამშრომლობენ იურიდიული პრაქტიკის დისტანციურ რეჟიმში განხორციელებისთვის საჭირო IT ტექნოლოგიებზე სტუდენტის წვდომის უზრუნველყოფისთვის?
- უნივერსიტეტში არსებობს დისტანციური მუშაობისას IT ტექნოლოგიის გამოყენებისას უსაფრთხოების და ეთიკის ნორმების დაცვის წესები?

IT რესურსებზე იურიდიული პრაქტიკის კურსის სტუდენტების წვდომა

- იურიდიული პრაქტიკის კურსში რამდენი სტუდენტია თქვენს უნივერსიტეტში, რომლებსაც ინტერნეტთან არ აქვს წვდომა?
- როგორია უნივერსიტეტის მიდგომა ამ პრობლემის მიმართ?

იურიდიული პრაქტიკის კურსში სტუდენტის ჯანმრთელობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა

- თუ იურიდიული პრაქტიკა შერეულ რეჟიმში მიმდინარეობს, თქვენს უნივერსიტეტს აქვს სპეციალური რეკომენდაციები სტუდენტის ჯანმრთელობის უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის?
- ჯანმრთელობის უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის სტუდენტები იღებენ შესაბამის ინფორმაციას უნივერსიტეტისგან?
- თუ სტუდენტს აღმოაჩნდა კონტაქტი COVID-19 ვირუსის მქონე პირთან მას აქვს კურსის ხელმძღვანელისთვის შეტყობინების ვალდებულება ?
- ასეთ დროს სტუდენტს შეუძლია კურსის ჩვეულებრივ რეჟიმში გაგრძელება ?

COVID-19 პანდემიის დროს იურიდიული პრაქტიკის კურსების ადაპტაცია ახალ რეალობასთან

- თქვენს უნივერსიტეტში სტუდენტს შეუძლია იურიდიული პრაქტიკის კურსის ჩანაცვლება?

- რამდენად ხშირია ასეთი შემთხვევა?
- თუ იურიდიული პრაქტიკის კურსით სტუდენტს არ შეუძლია სავალდებულო კრედიტების დაგროვება, როგორ მას სავალდებულო კრედიტების მოპოვება ?
- COVID-19 პანდემიის დროს იურიდიული პრაქტიკის კურსში იყო შემთხვევები როცა სტუდენმა ვერ შეძლო კურსის დასრულება?
- დისტანციური იურიდიული პრაქტიკისას ახლა როგორ ხდება კურსით დაგეგმილ შედეგებზე გასვლა - ორგანიზაციის საქმიანობის გაცნობა, ინტერპერსონალური უნარების განვითარება?
- COVID-19 პანდემიის დროს გამარტივდა და შეიცვალა შეფასების კრიტერიუმები იურიდიული პრაქტიკის კურსებში?
- იურიდიული პრაქტიკის კურსის სტუდენტებმა უნივერსიტეტის ადმინისტრაციას მიმართეს კურსის გადავადების თხოვნით ?

დანართი N 3

ჩაღრმავებული ინტერვიუები რეგიონული უნივერსიტეტების წარმომადგენლებთან

ჩაღრმავებულ ინტერვიუებში მონაწილეობდნენ რეგიონული უნივერსიტეტების შემდეგი წარმომადგენლები:

- ომარ ფარტენაძე, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული პრაქტიკის კურსის ხელმძღვანელი;
- მამუკა შენგელია, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივესიტეტის ბიზნესის სამართლისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის საბჭოს წევრი, პროფესორი;
- მალხაზ ლომსაძე - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის დეკანი.

დანართი N 4

კვლევაში მონაწილე უნივერსიტეტების წარმომადგენლები

უნივერსიტეტების ფოკუს ჯგუფში მონაწილეობდნენ უნივერსიტეტების შემდეგი წარმომადგენლები:

- ანა ხურციძე, საქართველოს უნივერსიტეტის სამართლის სკოლის დირექტორი;
- გიორგი გორაძე, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის დეკანი;
- ქეთევან ცხადაძე, თბილისის ღია უნივერსიტეტის სამართლის სკოლის დეკანი;
- იოსებ ნანობაშვილი, კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის დეკანი;

- ვახტანგ ზაალიშვილი, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის სამართლის საბაკალავრო და შედარებითი კომერციული სამართლის სამაგისტრო პროგრამების კოორდინატორი;
- მაგდა ლაზიშვილი, სამართლის სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;

ᲓᲐᲜᲐᲠᲗᲘ N 5

კვლევაში მონაწილე დამსაქმებელი ორგანიზაციების წარმომადგენლები

დამსაქმებელი ორგანიზაციების ფოკუს ჯგუფში მონაწილეობდნენ საჯარო და არასამთავრობო ორგანიზაციების შემდეგი წარმომადგენლები:

- ეკატერინე ქარდავა, საჯარო სამსახურის ბიუროს ხელმძღვანელი;
- მარინა კვაჭაძე, საქართველოს უზენაესი სასამართლო, ანალიტიკური სამსახურის ხელმძღვანელი;
- შორენა ირემაძე, საქართველოს პროკურატურის ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი;
- გიორგი ლომთაძე, საქართველოს საკოსტიტუციო სასამართლო, საზოგადოებასთან ურთიერთობების და პროტოკოლის ხელმძღვანელი;
- თამარ ხუბულური, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ეთიკის კლინიკის ხელმძღვანელი;
- პაატა ლოხიშვილი, არასამთავრობო ორგანიზაცია გამჭვირვალეობა საქართველო, ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი;
- გიორგი გოცირიძე - არასამთავრობო ორგანიზაცია საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, სტრატეგიული სამართალწარმოების პროგამის იურისტი.

დამსაქმებელი ორგანიზაციების ფოკუს ჯგუფში მონაწილეობდნენ კერძო ორგანიზაციების შემდეგი წარმომადგენლები:

- დავით კაპანაძე, იურიდიული ფირმა LPA -ის პარტნიორი;
- გიორგი სვანაძე, EY საქართველო-ს ასოცირებული პარტნიორი;
- სალომე ჭელიძე, ტელეკომპანია რუსთავი 2-ის იურიდიული სამსახურის ხელმძღვანელი;
- ანა გაბესკირია, TBC ბანკის პრაქტიკის პროგრამის ხელმძღვანელი;
- ნინო სუქნიძე, იურიდიული კომპანია სუქნიძე და პარტნიორები, დამფუძნებელი, პარტნიორი;
- თამთა ივანიშვილი, იურიდიული ფირმა BLC-ის პარტნიორი;

დანართი N 6

კვლევაში მონაწილე რეგიონული უნივერსიტეტების სტუდენტები

სტუდენტების ფოკუს ჯგუფში მონაწილეობდნენ რეგიონული უნივერსიტეტების შემდეგი სტუდენტები:

- ნათია ჭანტურია, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი;
- ლანა მომცემლიძე, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი;
- თიკო ჯაფარიძე, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი;
- ლიანა ნიჟარაძე, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი;
- ნანა ვარშანიძე, კავკასიის უნივერსიტეტი;
- მარიამ სუდაძე, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი;

დანართი N 7

სამაგიდო კვლევის ფარგლებში შესწავლილი დოკუმენტები

უნივერსიტეტები:

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

- დისტანციური ფორმით პროფესიული პრაქტიკის განხორციელების და შეფასების, საბაკალავრო ნაშრომების დაცვის დროებითი წესები
- სასწავლო პრაქტიკის სილაბუსი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

- სტუდენტების სტატისტიკა, რომლებმაც COVID-19 პანდემიის დროს გაიარეს იურიდიული პრაქტიკა
- პროფესიული პრაქტიკის სილაბუსი

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

- სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ელექტრონული სწავლების განხორციელების კონცეფცია
- სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების წესი

- ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფისა და მონიტორინგის მექანიზმები

თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი

თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო პრინციპები

- თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტში ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების წესი
- პრაქტიკის კურსის სილაბუსი
- სტუდენტების სტატისტიკა, რომლებმაც COVID-19 პანდემიის დროს გაიარეს იურიდიული პრაქტიკა

საჯარო და არასამთავრობო ორგანიზაციები:

საქართველოს უზენაესი სასამართლო

- საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის N410 დადგენილება ,,საჯარო დაწესებულებაში სტაჟირების გავლის წესისა და პირობების შესახებ“;
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს თვმჯდომარის 2007 წლის 2 ოქტომბრის N 21-ს 1 ბრძანება ,,საქართველოს უზენაეს სასამართლოში სტაჟირების გავლის წესის შესახებ“

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

- დებულება საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის (საია) იურიდიული დახმარების ცენტრებში თანაშემწეთა (სტაჟიორთა) მიღების წესის განსაზღვრის თაობაზე

საჯარო სამსახურის ბიურო

- სტატისტიკური მონაცემები COVID-19 პანდემიის დროს საჯარო დაწესებულებებში სტაჟირების სახელმწიფო პროგრამაში მონაწილე სტუდენტების შესახებ